პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585
1977/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (436)

1977 წლის მაისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (436) მაისი 1977 წელი

## შინაარსი


### განყოფილება პირველი

59. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მდგომარეობის შესახებ.

60. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამომრჩეველთა მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინაშე დაყენებული წინადადებების შესახებ.

### განყოფილება მეორე

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

62. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. ბაკურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. კობაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. დ. კომახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

66. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.


ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

67. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. შამაიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

68. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. მანჯგალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

69. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ვ. რუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

70. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. ჩხიკვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჯ. ვ. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ გ. ვ. კაჭახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. ი. ი. მელქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. პოპოვიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. გ. ყოჩიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში,
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 59 საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის ინფორმაცია საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მდგომარეობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები, საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან შავი ზღვის აუზის, მდინარეების, ტბების, წყალსაცავების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საქმეს, საჭირო ზომებს არ იღებენ გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის გეგმების შესრულებისა და დაწესებულ ვადებში მათი საექსპლუატაციოდ გადაცემისათვის.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის ინფორმაცია სათანადო რეაგირებისათვის გაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 24 მაისი.

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 60 ამომრჩეველთა მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინაშე დაყენებული წინადადებების შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების შეხვედრები ამომრჩევლებთან ჩატარდა ორგანიზებულად. წინა შეხვედრებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა ამომრჩეველთა აქტივობა. მათ მიერ დაყენებული წინადადებები შეეხება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს — მრეწველობას, მშენებლობას, სოფლის მეურნეობას, სახალხო განათლებას, კულტურას, ჯანმრთელობის დაცვას, ვაჭრობას, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას, კეთილმოწყობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ამომრჩეველთა წინადადებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ანგარიშების ჩაბარების დროს ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებანი განსახილველად გაეგზავნოს საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

2. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების წესის“ შესაბამისად საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა განიხილონ ამომრჩეველთა მიერ დაყენებული საკითხები და დასაბუთებული პასუხი მიღებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 30 მაისი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 61 წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის მშრომელთა თავდადებული მუშაობისათვის, მეცხოველეობის და მემცენარეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების მეცხრე ხუთწლედის და 1976 წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, **წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 62 წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მშრომელთა თავდადებული მუშაობისათვის, მეცხოველეობის და მემცენარეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების მეცხრე ხუთწლედის და 1976 წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, **წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 63 ამხ. დ. ი. ბაკურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დიმიტრი იოსების ძე **ბაკურაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 64 ამხ. ა. ა. კობაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, წითელწყაროს რაიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. არსენ ალექსის ძე კობაიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 65 ამხ. ე. დ. კომახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ამხ. ეთერ დავითის ასული კომახიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 66 ამხ. ი. ა. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი ამხ. ივერი აპოლონის ძე **ლორთქიფანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 67 ამხ. ნ. პ. მამაიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ნიკოლოზ პეტრეს ძე **მამაიაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 68 ამხ. ა. ა. მანჯგალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ამირან აპოლონის ძე მანჯგალაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 69 ამხ. ე. ვ. რუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების მომზადება-გადამზადების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის

ამაღლების მუდმივმოქმედი კურსების დირექტორის მოადგილე ამხ. ელენე ვლადიმერის ასული რუხაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

[library stamp]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 70 ამხ. გ. მ. ჩხიკვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, სკკპ წევრი 1919 წლიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამხ. გიორგი მემნოსის ძე ჩხიკვაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 71 ამხ. ჯ. ვ. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ჯიმშერ ვასილის ძე ქაჯაია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 23 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 72 მწერალ გ. ვ. კაჭახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი გიორგი ვარლამის ძე კაჭახიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 24 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 73 პროფესორ ი. ი. მელქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ილია იაკობის ძე მელქაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 24 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 74 ამხ. ა. მ. პოპოვიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფინანსო ორგანოებსა და მშენებლობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მთავარი ბუხჰალტერი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლო-

ზის მთავარი სამმართველოს კოლეგიის წევრი ამხ. ამალია მკრტჩის ასული პოპოვიჩი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 24 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 75 ამხ. ი. გ. ყოჩიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ტრესტ „იუჟმონტაჟავტომატიკის" თბილისის სამონტაჟო სამმართველოს უფროსი ამხ. ირაკლი გიორგის ძე ყოჩიაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1977 წლის 24 მაისი.

განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1977 წლის 30 მაისის სხდომაზე მოისმინა საკითხი საქართველოს სსრ შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ცხაკაიას რაიონში. აღინიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმისა და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით. რაიონის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას — ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულონ სახელოვანი იუბილესათვის.

ცხაკაიას რაიონის მშრომელებმა ვადამდე გაანაღდეს სამრეწველო პრო-დუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა. წარმატებით მიმდი-ნარეობს საგაზაფხულო, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. 22 მაისისათვის მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 1978,4 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ცხაკაიას რაიონის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების პრაქტიკული დახმარების შედეგად ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა ადგილობრივი საბჭოების ყველა დეპუტატმა. ანგარიშების ჩაბარების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას. 538 განაწესიდან შესრულებულია 522.

არჩევნების დებულებით დადგენილ ვადებში შეიქმნა საარჩევნო ოლქები, რაიონული, საქალაქო და სასოფლო საარჩევნო კომისიები, საარჩევნო უბნები და საუბნო საარჩევნო კომისიები, რომელთა შემადგენლობაში არჩეული არიან მოწინავე, ინიციატივიანი, ავტორიტეტიანი ადამიანები.

საარჩევნო კომისიები დროულად შეუდგნენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. კომისიების უმრავლესობას შედგენილი აქვს სამუშაო გეგმები, წევრებს შორის განაწილებულია ფუნქციები. წარმოებს ამომრჩეველთა სიების შედგენა და დაზუსტება.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები ძირითადად უზრუნველყოფი-ლია შესაფერი შენობებით, სატელეფონო კავშირით და არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტაციით.

წინასაარჩევნო კრებები მიმდინარეობს ორგანიზებულად. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან მოწინავე მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ადგილობრივი საბჭოების 588 დეპუტა-ტობის კანდიდატიდან მუშა და კოლმეურნეა 387 (65,8 პროცენტი), ქალია 289 (49,1 პროცენტი), უპარტიო — 331 (56,3 პროცენტი), 18,5 პროცენტს კომკავშირელები შეადგენენ, ხოლო 32,5 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა.

ფართოდ არის გაშლილი სააგიტაციო მუშაობა. 1000-ზე მეტი აგიტატორი, პოლიტინფორმატორი და ლექტორი მშრომელებს განუმარტავს კომუნისტური მშენებლობის იმ დიად ამოცანებს, რომლებიც დასახულია სკკპ XXV ყრილო-ბის მიერ. მოხსენებებსა და საუბრებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის მასალებს.

კლუბებში, ბიბლიოთეკებსა და აგიტპუნქტებში ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები რაიონის მოწინავე ადამიანებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან.

ამასთან, ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს არჩევნებისათვის მზადების საქმეში გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებანი. ზოგიერთ საუბნო და სასოფლო საარჩევნო კომისიას არ ჰქონდა ჩატარებული სხდომა, შედგენილი სამუშაო გეგმა, კომისიის წევრთა შორის არ იყო განაწილებული ფუნქციები (ძველი სენაკის და ნოსირის სასო-ფლო საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიები, ქ. ცხაკაიას ლენინის № 8

საარჩევნო უბანი). არჩევნებთან დაკავშირებით სათანადო მუშაობას არ ეწევიან ნაქალაქევის სასოფლო საბჭოს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები.

შემოწმების დღისათვის 35 საარჩევნო უბნიდან სატელეფონო კავშირი არ ჰქონდა ხუთს. ამომრჩეველთა სიებში ზოგან ნაჩვენები არ იყო იმ ახალგაზრდა ამომრჩეველთა დაბადების თვე და რიცხვი, რომელთაც არჩევნების დღისათვის 18 წელი უსრულდებათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (თავმჯდომარე ს. კარტოზია) მაქსიმალურად გამოიყენოს არჩევნებამდე დარჩენილი დრო და მთელი საარჩევნო მუშაობა წარმართოს ისე, რომ დარაზმოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის პლენუმისა და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად;

გაშალოს მოსახლეობაში მუშაობა არჩევნების დებულების, საბჭოთა დემოკრატიის ძირითადი პრინციპების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის დადგენილებათა ახსნა-განმარტებისათვის. ამომრჩევლებს ფართოდ გააცნოს დეპუტატობის კანდიდატთა საქმიანობა;

განახორციელოს ღონისძიებანი წინასაარჩევნო კრებების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩასატარებლად; მიიღოს ქმედითი ზომები ამომრჩეველთა განაწესების სწორად აღრიცხვისა და შესრულების ღონისძიებათა გეგმების დროულად დამტკიცებისათვის;

არ დაუშვას არჩევნების საკითხებთან დაკავშირებული მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების დაგვიანებით განხილვა;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამომრჩეველთა სიების სისწორეს. მიაღწიოს იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ყველა მოქალაქემ, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება. ჩაატაროს სათანადო მუშაობა ახალგაზრდა ამომრჩეველთა შორის;

ქმედითი დახმარება გაუწიოს საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებს, განუმარტოს მათი უფლება-მოვალეობანი, საარჩევნო დოკუმენტების შევსების წესები. უზრუნველყოს საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა და აქტივის ყოველდღიური მორიგეობა;

მოაწყოს ყველა საარჩევნო უბანი არჩევნების დებულების მოთხოვნათა სრული შესაბამისობით. დროულად მოამარაგოს ისინი საარჩევნო დოკუმენტაციის ბლანკებით, საარჩევნო ბეჭდებითა და ყუთებით, კაბინებისათვის საჭირო მასალებითა და საკანცელარიო ნივთებით;

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალა უზრუნველყონ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი თუ როგორ სრულდება მარნეულისა და ხაშურის რაიონებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 28 აგვისტოს დადგენილება „არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ“.

აღინიშნა, რომ მარნეულისა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, ადმინისტრაციულმა და განათლების ორგანოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და საწარმოებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გარკვეული მუშაობა განახორციელეს, რათა გაძლიერებულიყო ბრძოლა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებისა და ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ. მეტი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას. გაუმჯობესდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევებისა და უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა გამოვლენის საქმე.

ამასთან ერთად, მარნეულისა და ხაშურის რაიონებში არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით ჩატარებულ აღმზრდელობით და პროფილაქტიკურ მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

ორივე რაიონში არასრულწლოვანთა დამნაშავეობის დონის მკვეთრი ზრდა იმის შედეგია, რომ ადგილობრივი საბჭოთა, ადმინისტრაციული, სამეურნეო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად — არ არის კოორდინირებული. სათანადო ყურადღება არ ექცევა აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასა და დანაშაულის პროფილაქტიკის მიზნით კომპლექსური ღონისძიებების გამოყენებას.

არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების თავიდან აცილების საქმეში არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ზემოაღნიშნული რაიონების საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სუსტი მუშაობითაც, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს სასწავლო პროცესის და აღმზრდელობითი მუშაობის მჭიდრო კავშირი. ხშირ შემთხვევებში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ არის გათვალისწინებული მოზარდთა ინდივიდუალური თავისებურებები და მიდრეკილებები. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ამ მიმართულებით მიღებული ზომები ჯერ კიდევ ეფექტური არ არის.

მარნეულისა და ხაშურის რაიონების ბევრი დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოს ხელმძღვანელი არ ზრუნავს სათანადო პირობების შესაქმნელად არასრულწლოვანთა შრომისა და ყოფაცხოვრებისათვის, მათი პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლებისათვის. სუ-

№ 5

სტად არის გამოყენებული დამრიგებლობის დიდი აღმზრდელობითი შესაძლე-ბლობები, ხოლო საშეფო მუშაობა ფორმალურად ტარდება.

წარმოების სფეროში დასაქმებული არასრულწლოვანების მიმართ ხშირად ირღვევა შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები.

მარნეულისა და ხაშურის რაიონების საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები, ნებაყოფლობითი საზოგადოებები და სპორტული ორგანიზაციები საჭირო მუშაობას არ ეწევიან მოსწავლე ახალგაზრდობისა და წარმოებაში დასაქმებული არასრულწლოვანების გონივრული დასვენებისათვის; სუსტად იყენებენ კლუბების, კინოთეატრების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კულტურისა და დასვენების პარკების, სპორტული ნაგებობების შესაძლებლობებს. საცხოვრებელ მიკრორაიონებში სათამაშო და სპორტული მოედნების მშენებლობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის. ასევე არაეფექტურია საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების პედაგოგ-ორგანიზატორების საქმიანობა.

პრაქტიკაში არ არის წარმოება-დაწესებულებების წილობრივი მონაწილეობა სპორტული მოედნების, კლუბების, შრომითი ბანაკებისა და ახალგაზრდობის დასვენების სხვა ობიექტების მშენებლობაში.

საბჭოთა ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხშირად ყურადღებას ვერ აქცევენ ოჯახში მოზარდთა აღზრდის საკითხებს. სათანადო რეაგირებას არ ახდენენ იმ მშობლების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან ბრძოლაში სერიოზული ხარვეზები აქვთ მარნეულის რაიონის საგამოძიებო ორგანოებს. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეთა გამოძიების ხარისხს, ირღვევა საპროცესო ნორმების მოთხოვნები, რის გამოც ადგილი აქვს საქმეთა დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შემთხვევებს. გამომძიებლები საფუძვლიანად არ იკვლევენ დანაშაულის წარმომშობ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებს, არ ავლენენ წამქეზებლებს და იშვიათად აყენებენ საკითხს მშობლების, სკოლებისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის შესახებ.

არასაკმარისია ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ არასრულწლოვანთა დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის ჩატარებული პროფილაქტიკური მუშაობა.

მარნეულისა და ხაშურის რაიონების სასწავლო დაწესებულებების, ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები ხშირად რეაგირების გარეშე ტოვებენ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების წარდგინებებს და სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კერძო განჩინებებს არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესახებ.

არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობით და პროფილაქტიკურ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად განპი-

რობებულია მარნეულისა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სუსტი მუშაობით. საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს მუშაობაში აქვთ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. მათ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს რაიონული საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატების, აქტივისა და ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმა არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან ბრძოლაში. კომისიებს არა ჰყავთ განთავისუფლებული მდივნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მარნეულისა და ხაშურის რაიონებში არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზნით აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მარნეულისა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ადმინისტრაციულ და სახალხო განათლების ორგანოებთან, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა, განათლების, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დეპუტატებისა და აქტივის ფართო მონაწილეობით:

დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ბავშვთა და მოზარდთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმის უკეთ დაყენებისათვის;

აღმზრდელობით მუშაობაში ბავშვთა და მოზარდთა შორის უფრო ფართოდ ჩააბან საზოგადოებრიობა, ქუჩისა და სახლის კომიტეტები, საბჭოების დეპუტატები, ომისა და შრომის ვეტერანები, წარმოების, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი;

მიიღონ ზომები სკოლებიდან და სასწავლებლებიდან მოსწავლეთა გათესვის აღსაკვეთად და საშუალო სკოლადამთავრებულთა შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად;

გააძლიერონ ყურადღება ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხებისადმი;

უკეთ მოაწყონ ახალგაზრდობის თავისუფალი დროის გამოყენების საქმე. დასახონ ღონისძიებანი კულტსაგანმანათლებლო, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში ახალგაზრდობის უფრო ფართოდ ჩასაბმელად, სისტემატურად მოაწყონ მათთვის ლექცია-საუბრები, ლიტერატურული დისპუტები, სპორტული შეჯიბრებები, ლაშქრობები, თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერებები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან;

შეამოწმონ მოზარდთა შრომის დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობა წარმოება-დაწესებულებებში;

მტკიცედ დაიცვან წესი მიკრორაიონებში არასრულწლოვანთა შორის მუშაობისათვის სპეციალური ოთახების, სათამაშო და სპორტული მოედნების მოწყობის შესახებ. ამასთან, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოლმეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების ინიციატივას წილობრივი მონაწილეობით

სპორტული მოედნების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობაში;

ქმედითი დახმარება გაუწიონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს;

მეტი ყურადღება მიაქციონ მილიციის ბავშვთა ოთახების სათანადო ბინებითა და ინვენტარით უზრუნველყოფას, საზოგადოებრივი აღმზრდელების და პედაგოგ-ორგანიზატორების მუშაობას;

აამაღლონ პედაგოგებისა და აღმზრდელების პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა შორის უზედამხედველობისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სკოლისგარეშე მუშაობას, ბავშვებსა და მოზარდებში სასარგებლო შრომითი ჩვევების გამომუშავებას;

ადგილობრივ გაზეთებსა და რადიოგადაცემებში სისტემატურად გააშუქონ არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების თავიდან აცილებასთან დაკავშირებული საკითხები. მეტი ყურადღება დაუთმონ სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. ქუთათელაძის მოხსენება საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა და მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ბოლო დროს გარკვეული მუშაობა ჩატარდა ამ საკითხზე სადირექტივო ორგანოების დადგენილების შესასრულებლად. ერთგვარად გაუმჯობესდა რესპუბლიკის ფარგლებში როგორც შავი ზღვის სანაპირო წყლების, ისე ზღვაში ჩამავალი მდინარეების სანიტარიული მდგომარეობა და წყალსაცავების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საქმე.

ამასთან, სხდომაზე აღინიშნა, რომ შესაბამისი სამინისტროები, უწყებები და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის, კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია რესპუბლიკის მდინარეების, ტბების, წყალსაცავების და ზღვის სანაპირო წყლების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საქმეში.

გრძელდება ჩამდინარე წყლებით და სამრეწველო ნარჩენებით შავი ზღვის გაჭუჭყიანება მთელი საკურორტო ზონის გასწვრივ. მოქმედ გამწმენდ ნაგებობათა უდიდესი ნაწილი ტექნიკურად გაუმართავია.

გაჭუჭყიანებულია მდინარეები ენგური, რიონი, ყვირილა, ღალიძგა, ხოლო შავი ზღვა — ქალაქების და კურორტების სოხუმის, გაგრის, გუდაუთის, ახალი ათონის, ოჩამჩირის, ფოთის, ბათუმისა და სხვა ზონებში.

რესპუბლიკის რიგი სამშენებლო ორგანიზაციები, სამინისტროები, უწყებები ვერ ითვისებს საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებს ან დაგვიანებით გადასცემს მათ საექსპლუატაციოდ.

ბევრი გამწმენდი ნაგებობა უმოქმედოდაა. ნაკლოვანებებია ამ ნაგებობის მომსახურეებისათვის სპეციალური კადრების მომზადების საქმეში.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. ნატროშვილმა.

მუდმივმა კომისიამ აღნიშნული საკითხი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი და პრეზიდიუმის წევრი გ. ჯავახიშვილი.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 30 მაისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 262 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისში | | 8 |
| ქ. ქუთაისში | | 4 |
| ქ. ფოთში | | 2 |
| ქ. წყალტუბოში | | 11 |
| ადიგენის | რაიონში | 8 |
| ასპინძის | —„— | 10 |
| ახალქალაქის | —„— | 12 |
| ბოგდანოვკის | —„— | 5 |
| ვანის | —„— | 13 |
| ზესტაფონის | —„— | 4 |
| ზუგდიდის | —„— | 5 |
| თეთრი წყაროს | —„— | 17 |
| თელავის | —„— | 2 |
| მარნეულის | —„— | 57 |
| მცხეთის | —„— | 4 |
| ორჯონიკიძის | —„— | 6 |
| საგარეჯოს | —„— | 28 |
| სამტრედიის | —„— | 9 |
| სიღნაღის | —„— | 17 |

I 5640
ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ყვარლის | რაიონში | 6 |
| ცაგერის | —„— | 4 |
| წითელწყაროს | —„— | 4 |
| ჩხოროწყუს | —„— | 5 |
| ხაშურის | —„— | 5 |
| ხობის | —„— | 9 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | | 7 |

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 30 მაისის ბრძანებულებით მედლით „შრომის ვეტერანი" დაჯილდოვდა 1020 კაცი, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის I მაისის | რაიონში | 228 |
| —„— ოქტომბრის | —„— | 70 |
| —„— კალინინის | —„— | 145 |
| —„— ორჯონიკიძის | —„— | 78 |
| ქ. ქუთაისში | | 78 |
| ქ. ტყიბულში | | 43 |
| ბოგდანოვკის | რაიონში | 1 |
| ვანის | —„— | 108 |
| ზუგდიდის | —„— | 37 |
| თერჯოლის | —„— | 32 |
| მაიაკოვსკის | —„— | 14 |
| მარნეულის | —„— | 5 |
| მახარაძის | —„— | 59 |
| ყაზბეგის | —„— | 19 |
| წალკის | —„— | 22 |
| წალენჯიხის | —„— | 17 |
| ხაშურის | —„— | 64 |